



**ოქმი N3**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის**

2019 წელი, 6 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

11.00 საათი -12.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ.ღურჯუმელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, ბ.ქათამაძე, ლ.მგელაძე, ბ.დოლიძე, გ.ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ხ.ცერცვაძე, ნ.ორაგველიძე, გ.მდინარაძე, ვ.ბერიძე, ლ.ნინიძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, ვ.ნიჭარაძე, ლ.კილაძე, ალ.დლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტულუში, ვლ.დლონტი, თ.ბურჭულაძე, ლ.სიჭინავა, დ.მჟავანაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-ალ.სურგულაძე.

მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი მუშაკები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 33-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას და საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცეს 33 ხმით.

## დღის წესრიგი

7.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე**

**გია მამაკაიშვილი**

**გიორგი ჩაგანავა**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სოფელ გომის საზღვრებში კურორტ გომის მთის მოქცევის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადების მოწონების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე**

**ალეკო მამეიშვილი**

**ლავრენტი ბიგვავა**

ამ საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ბ.ქათამაძემ დასვა შეკითხვა-რა სარგებლობას მოუტანს მუნიციპალიტეტს კურორტ გომის მთის შემოქმედის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში მოქცევა, რაზეც განმარტება მიაწოდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ და აღნიშნა, რომ კურორტის განვითარებისათვის შესაძლებელია მეზობელ (ქობულეთის, შუახევის, ჩოხატაურის) მუნიციპალიტეტებთან ერთად ერთობლივი პროექტების განხორციელება.

საკრებულომ ცნობად მიიღო და ერთხმად დაუჭირა მხარი მუნიციპალიტეტის მერის კ.შარაშენიძის წინადადებას კურორტ გომის მთის სოფელ გომის საზღვრებში მოქცევის თაობაზე.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ, ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლელა საჯაია**

საკრებულომ ცნობად მიიღო კომისიის დასკვნა და მხარი დაუჭირა მის

წინადადებას პეტიციაში გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად პეტიცია და საკრებულოს საოქმო გადაწყვეტილება გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას (კ.შარაშენიძე).

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის სახით წარდგენისა და ცნობად მიღების თაობაზე.


**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ნანა თავდუმაძე**

საკრებულომ, ასევე ცნობად მიიღო ინფორმაცია საკრებულოს წევრების მიერ 2018 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშების ჩაბარების თაობაზე.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

